

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

23.02.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი,
საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის
პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი
დირექტორი;

თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო
უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
(კანცლერი), სრული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ მახარაშვილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ლაშა ძარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლაშა ფანჯიკიძე - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

2. ზვიად არძენაძე - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

3. ეკატერინე ინოჭიკაშვილი - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

4. თინათინ ზალდასტანიშვილი - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო
აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

5. ანზორ დიასამიძე - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის
რექტორი;

ა. ხოვაძე

6. მზია დიასამიძე - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის წარმომადგენელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები - ავტორიზაციის ექსპერტები):

თევა ნადირაძე;

თამარ შუდრა;

თევა შავულაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:25 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.



1. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალა - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ნადირაძემ და ჯგუფის წევრმა, თამარ შუდრამ.

ექსპერტის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების წესი არ შეესაბამებოდა დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ წესს. კერძოდ, შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ფაკულტეტის მიხედვით წარედგინება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ავსებს საგანმანათლებლო პროგრამის და შესაბამისი სილაბუსის კითხვარის ფორმებს, რომელიც ამ დებულების დანართებია. დაწესებულებას არ წარმოდგენია შევსებული კითხვარის ფორმები. ამასთან, ზემოხსენებული დებულებით განსაზღვრული, პროგრამის დამტკიცების პროცედურის დაცვის ვალდებულების გარდა, კითხვარის ფორმების შევსების აუცილებლობას განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანით „ქართული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამიდან ამოიღო პროფესიული პრაქტიკა, ხოლო „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამაში გაასწორა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი. სწორედ აღნიშნული საკითხების შემოწმებას ეხებოდა „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარის ფორმის“ – მე-10 (შეფასების სისტემა) და 21-ე (პროფესიული პრაქტიკა), აგრეთვე „სილაბუსის შემოწმების ფორმის“ - მე-4 (შეფასება) პუნქტები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შევსებული კითხვარის ფორმების წარმოდგენა, რომლებიც მათ სამუშაო დოკუმენტაციას წარმოადგენდა, მონიტორინგის ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებს არ მოუთხოვიათ. მისი განმარტებით, მოთხოვნის შემთხვევაში მოხდებოდა მათი წარმოდგენა. ამასთან, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის ჩაბარების შემდეგ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნული დოკუმენტაცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ექსპერტმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განუმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაწესებულების მიერ ექსპერტებთან საკონტაქტო პირად განსაზღვრულ დაწესებულების წარმომადგენელს, შევსებული



კითხვარის ფორმები არ წარმოუდგენია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით მონიტორინგის ჯგუფის წინა დასკვნაში განსაზღვრული პირველი საკითხის გადამოწმებისას, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზნის, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისობას, დგინდება შემდეგი ფაქტი:

1.1 "ქართული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის "პროფესიული პრაქტიკის" შინაარსის პროგრამის სტრუქტურასთან შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, დაწესებულებამ სასწავლო კურსი "პროფესიული პრაქტიკა" გააუქმა. აქვე აღსანიშნავია, რომ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში კვლავ განსაზღვრულია პრაქტიკული ცოდნის მიღება - "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ქართული ენის როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საბაზო ცოდნის მიღებას". პროგრამაში აღნიშნულია, რომ მიზნის განხორციელებისათვის პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის გავლას პროგრამის სწავლის შედეგებში განსაზღვრულია შემდეგი - "პრაქტიკული ხასიათის ლიტერატურული თუ ენათმეცნიერული პროექტების შედგენა და განხორციელება". შესაბამისად, პროგრამის მიზანი და შედეგი მოწმობს პროგრამით პრაქტიკული კომპონენტის აუცილებლობას.

გადამოწმდა პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსები და მათი თემატიკა, რომლითაც დადასტურდებოდა პროგრამის ზემოაღნიშნული მიზნის და შედეგების მიღწევა. ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსთა ჩამონათვალში განსაზღვრულია სასწავლო კურსი "თარგმნის თეორია და პრაქტიკა", რომლის შინაარსი არ არის შესაბამისი ზემოთ მითითებული შედეგისა, ასევე მას აქვს არჩევითი სტატუსი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ყველა სტუდენტისათვის პრაქტიკული უნარის გამომუშავებას.

ამასთან, გამოიკვეთა შემდეგი საკითხიც "თარგმნის თეორია და პრაქტიკის" სილაბუსში მითითებულია, რომ აღნიშნული საგანი გახლავთ მესამე სემესტრის არჩევითი სასწავლო კურსი, თუმცა პროგრამის სემესტრულ განაწილებაში მესამე სემესტრი არ ითვალისწინებს არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებას. პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრობა ნიშნავს მასში განსაზღვრული ყველა კომპონენტის ერთმანეთთან თანხვედრას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

შესაბამისად, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა არათანმიმდევრულია, პროგრამის მიზანი და შედეგები არ არის თანხვედრაში პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსებთან, ასევე სასწავლო კურსის - "თარგმნის თეორია და პრაქტიკა" შინაარსით არ მიიღწევა პროგრამის შედეგში განსაზღვრული პრაქტიკული უნარები, ასევე პროგრამის სემესტრული დაგეგმარება არ შეესაბამება სილაბუსში გაწერილ ინფორმაციას;

1.2 მონიტორინგის ჯგუფის წინა დასკვნის მიხედვით, „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის მე-8 პუნქტში დაფიქსირებული იყო ხარვეზი (საბაკალავრო პროგრამა შედეგება 120 კრედიტისგან), რომელიც გასწორებულია - ტერმინი „საბაკალავრო“ აღარ ფიგურირებს. პროგრამის საკონტაქტო საათები მოიცავდა ჯგუფურ, პრაქტიკულ მუშაობასა და საგამოცდო საათებს. თუმცა, პროგრამის სასწავლო გეგმით არ იყო გათვალისწინებული პრაქტიკული მუშაობა, რაც პროგრამის სტრუქტურას არათანმიმდევრულს ხდიდა. აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია, ამ ჩანაწერის პროგრამიდან ამოღების გზით, თუმცა ჩანაწერის ამოღების შედეგად, პროგრამაში აღარ არის მითითებული სწავლების მეთოდები (ლექცია/ჯგუფური მუშაობა და ა.შ.), რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-9 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტს - „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს

მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია“.


1.3 სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა გასწორდა - გაიწერა შუალედური შეფასების კრიტიკულები, რომელიც წინა ვიზიტის დროს არ იყო. თუმცა, სამაგისტრო პროგრამასა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მოცემული შეფასების სისტემა არ შესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვარის №3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს". კერძოდ, პროგრამასა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებულია, რომ „ფინალური შეფასების შემდეგ, თუ სტუდენტს ექნება უარყოფითი შეფასება (F) - ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მოახდინოს გადამუშავებული ან ახალი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა საჯარო დაცვაზე.“ „კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.“ ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).“ სამაგისტრო ნაშრომის „მომდევნო ერთი წლის განმავლობაში“ წარდგენის უფლებამოსილება ეწინააღმდეგება სასწავლო კურსის ერთსემესტრიანობის პრინციპს, აგრეთვე სილაბუსით განსაზღვრულ სასწავლო კურსის ხანგრძლივობას (ერთი სემესტრი). ამ ჩანაწერს ასევე ვერ განვიხილავთ, როგორც დაწესებულების მიერ სტუდენტისათვის შეთავაზებულ შესაძლებლობას - სამაგისტრო ნაშრომი აირჩიოს ერთი წლის განმავლობაში, ნებისმიერ (შემოდგომის ან გაზაფხულის) სემესტრში, რადგანაც დაწესებულების მარებულირებელი დოკუმენტით, სტუდენტი არ იზღუდება კონკრეტული ვადით, იმ სასწავლო კურსების თავიდან გასავლელად, რომლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება (F შეფასება). აღნიშნული ვადა არ არის სხვა სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული „საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დებულებაში“. შესაბამისად, ვერც სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში იქნება ეს ვადა განსხვავებული. ჩანაწერი - „გადამუშავებული ან ახალი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა საჯარო დაცვაზე“, შესაბამოა „კრედიტებით გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული ჩაჭრის (F) შემთხვევაში საგნის ახლიდან შესწავლის მოთხოვნასთან. საგნის ახლიდან შესწავლა გულისხმობს, რომ სტუდენტმა უნდა მიიღოს შუალედური და დასკვნითი შეფასებები, ხოლო საჯარო დაცვაზე წარდგენა კი მხოლოდ დასკვნითი შეფასების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ირინა ხანთაძემ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნულ შენიშვნებთან მიმართებით მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას ადგილი ჰქონდა დოკუმენტაციის არევას, კერძოდ ექსპერტების მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების ძველი სამუშაო ვერსიის შემოწმება, რომლებშიც გაპარული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობები.

ექსპერტის განმარტებით, მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები მხოლოდ მატერიალური სახით, სხვა საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო წარმოდგენილი. ამასთან, ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც გადამოწმდა ვიზიტის დროს, წარდგენილ იქნა ცენტრში დასკვნის ჩაბარებისას, დანართის სახით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში, მათ იხელმძღვანელეს და შეაფასეს დაწესებულების წარმომადგენლების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლების მეთოდების არ არსებობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია ასახული იყო საგანმანათლებლო პროგრამაში. აღნიშნულის დასადასტურებლად, წარმომადგენელმა მოითხოვა ცენტრის თანამშრომელს წარმოედგინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრში



დანართის სახით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სწავლების მეთოდები ცხრილის სახით იყო გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 წინა მონიტორინგის ვიზიტის დასკვნის მიხედვით „კომპიუტერინგის საბაკალავრო პროგრამის ყველა სილაბუსში, როგორც შუალედურ, ისე საბოლოო გამოცდაზე ტესტირებასთან ერთად გათვალისწინებულია პრაქტიკული დავალების (ამოცანის) შესრულება, რომელიც, ცხადია, სტუდენტმა კომპიუტერთან უნდა შეასრულოს. ამიტომაც, სპეციალობის ყველა საგნის სილაბუსში მითითებულია, რომ ორ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი უნდა იყოს გათვალისწინებული. ამდენად, აუცილებელია, რომ დაწესებულებას კონტიგუნტის შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერები ჰქონდეს. (ამჟამად დაწესებულებას აქვს 20 კომპიუტერი). წინა მონიტორინგის ვიზიტის შემდგომ, დაწესებულებამ შეიძინა 20 კომპიუტერი და ჯამურად სასწავლო მიზნებისათვის, ვიზიტის მომენტისათვის ჰქონდა 40 კომპიუტერი. თუმცა, ახალი 20 კომპიუტერის შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შემენილი კომპიუტერების ჯამური ღირებულება არის 15.100 ლარი, საიდანაც დაწესებულებას გადახდილი აქვს მხოლოდ 10. 100 ლარი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ამ დროისათვის ჰყავს 88 სტუდენტი, რომლებიც ჩარიცხულნი არიან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ ფაკულტეტზე, ფაკულტეტზე ფუნქციონირებს მხოლოდ „კომპიუტერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ამჟამად სასწავლო მიზნებისათვის დაწესებულების მფლობელობაშია 40 კომპიუტერი. „კომპიუტერინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის სილაბუსების შინაარსის მიხედვით „ორ სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი კომპიუტერი“. გარდა ამისა, „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსი, როგორც ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინა, გათვალისწინებულია „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში (პირველი სემესტრი, 77 საკონტაქტო საათი, კვირაში 3 საათი). საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 13 ივნისის №15 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 300 -ით.

მიმდინარე ეტაპზე, სასწავლო ცხრილის შენაცვლების პირობებში, შესაძლებელი იქნება 88 სტუდენტის 40 კომპიუტერზე მუშაობა, თუმცა კომპიუტერების რაოდენობა დაწესებულებაში არ არის შემდგომ პერსპექტივაზე გათვლილი (ზღვრული სტუდენტთა რაოდენობის სწავლების პირობებში), მით უმეტეს, როცა დაწესებულებაში ხორციელდება კომპიუტერინგის დარგი/სპეციალობის მისანიჭებელი კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამა;

2.2 წინა მონიტორინგის დასკვნაში განსაზღვრული 2.1 პუნქტში გაწერილი საკითხის გადამოწმებისას, რომელიც ეხებოდა „კომპიუტერინგის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნებით „საწარმოო პრაქტიკის“ განსახორციელებლად ორგანიზაციების ჩართულობას, გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

საგანმანათლებლო პროგრამის მე-10 პუნქტში „პროფესიული პრაქტიკა“ აღნიშნულია, რომ „პროფესიული პრაქტიკის მაღალორგანიზებულად წარმართვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის ამოცანებია:

— სტუდენტთა განაწილება საწარმოებში/ორგანიზაციებში მათი სპეციალიზაციის შესაბამისად;

— პრაქტიკის პროცესის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების პროფესიულ დახმარებულებასა და შესაბამისი უნარების გამომუშავებაზე.

ამ ამოცანის შესრულება არ დასტურდება სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით. დაწესებულებამ ამ ნაწილში მითითებული ინფორმაციის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით, წარმოადგინა 2010 წელს დადებული განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

სტომატოლოგიური კლინიკა - ინდემქტარმე გურბანოვი ვილაიათი, სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლა, აივაზ დურსუნ ოლიო ჰასანოვის სახ. აღვეთის სკოლა-ლიცეუმი, სოფელ აღვეთის №2 საჯარო სკოლა, მარნეულის №3 საჯარო სკოლა, მარნეულის სოფელ სადახლოს №1 საჯარო სკოლა, სოფელ სადიქენტის საჯარო სკოლა, ა(ა)იპ - მარნეულის მუნიციპალიტეტთან არსებული 56-ე სპორტული სკოლა, ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის მიერ (ს/კ 202205130) 2010 წელს გაფორმებული წარმოდგენილი მემორანდუმები არ წარმოადგენს ამჟამად ავტორიზებული დაწესებულების „კომპიუტინგის“ პროგრამის შემდგომი პერსპექტივისათვის გათვლილ თანამშრომლობის მემორამდუმებს (დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 13.06.2014), რადგან არის ზოგადი, სტანდარტული ხასიათის. კერძოდ, მემორამდუმებში „მხარეთა ვალდებულებების“ მუხლში გაწერილია - „მხარეები აცნობიერებენ მემორანდუმის იდეას და მზადყოფნას გამოთქვამენ მემორანდუმის მიზნების განსახორციელებლად შეათანხმონ დამატებითი სამოქმედო გეგმები და სასწავლო პრაქტიკის (სტაჟირების) თემატიკა და გრაფიკი, სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, განსაზღვრავს სასწავლო პრაქტიკის (სტაჟირების) თემატიკას და გრაფიკს“.

აღნიშნული ჩამონათვალიდან, ა(ა)იპ - მარნეულის მუნიციპალიტეტთან არსებული 56-ე სპორტული სკოლა ვერ მიიჩნევა „კომპიუტინგის“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პრაქტიკის განხორციელების ობიექტად, რადგან მასში გაწერილია სპორტული აქტივობების განხორციელების მიზნებისთვის თანამშრომლობა, ამავე არარელევანტური მიზეზით სტომატოლოგიური კლინიკა, ინდემურამე გურბანოვი ვილაიათი ვერ მიჩნევა პრაქტიკის ობიექტად.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადგებულ მემორანდუმებს, შესაძლებელია იურიდიულ პირს 2010 წელს ჰქონდა გაფორმებული სხვა ლიცენზირებული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების მიზნებისათვის, რომლებიც მოიცავდა პედაგოგიურ პრაქტიკას.

„პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსის შინაარსში დაფიქსირებულია, რომ „პრაქტიკა მიმდინარეობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო პროფილის მქონე კომპანიებში, ასევე წებისმიერი კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებებში“. სილაბუსის შინაარსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კონკრეტული ქსელების მუშაობის ხარვეზის გამოვლენა, ქსელის დაპროექტება, ქსელის აწყობა, გამართვა, IP მისამართების გაწერა, ინფორმაციის გადაცემის უსაფრთხოების დაცვა და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას და ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ გაფორმებული მემორანდუმების ფარგლები, ანუ ზოგადი შეთანხმების პირობები, არ არის საკმარისი ზემოაღწერილი აქტივობების განხორციელებისათვის; საჭიროა დამატებითი/კონკრეტული პირობების განსაზღვრა. თუ გავითვალისწინებთ საბანკო სტრუქტურების/სისტემების სპეციფიკას, არასპეციალისტების დონეზეც კი ცნობილია (ზოგადად), რომ ბანკის ინფორმაციული მართვის სფეროში არსებობს ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის ნორმები, განსაზღვრულია სერვერული დაშვების დონეები და ა.შ. ამიტომ, ასეთ აქტივობებთან მიმართებაში კონკრეტული შეთანხმების, თემატიკის ერთობლივი განსაზღვრის გარეშე, ვერ იქნება შესაძლებელი საწარმოო პრაქტიკის მოცემული მიზნების განხორციელება და სწავლის შედეგების მიღწევა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ახალმა შეთანხმებამ შეიძლება შეკვალონ სილაბუსის, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები.

ამგვარად, „პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევა არ არის შესაძლებელი მოყვარული მემორანდუმების ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „კომპიუტინგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „პრატიქისის“ სილაბუსით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევის

უზრუნველყოფა არ დასტურდება წარმოდგენილი მემორანდუმებით, რაც არ შეესაბამება „დებულების“ მე-10 მუხლით განსაზღვრულ ნორმებს, რომელთა თანახმად, სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ, დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები; აღნიშნული აგრეთვე, ეწინააღმდეგება ამავე „დებულების“ მე-9 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტს, რომლის შესაბამისად, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ სტანდარტს, რომლის შესაბამისად, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძე დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა საშუალება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით გამოეთვათ მოსაზრები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერები დაწესებულებას განვადებით ჰქონდა შემენილი და ამიტომაც ფიქსირდებოდა, ნაწილი თანხის გადაუხდელობა, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას კომპიუტერები სტანდარტული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა შემენილი და განვადების პირობაზე არ ყოფილა მითითება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში მოხდებოდა დამატებითი რაოდენობის კომპიუტერების შეძენა. ამასთან, მისი განმარტებით, ყველა საკონტაქტო საათზე არ იყო კომპიუტერების გამოყენების საჭიროება. ლექციების დროს მხოლოდ ჰედაგოგი იყენებდა კომპიუტერს.

დაწესებულების მიერ გაფორმებულ მემორანდუმებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, სტუდენტს შეეძლო პრაქტიკა გაევლო ყველა იმ დაწესებულებაში, განურჩევლად სფეროსი, სადაც IT უზრუნველყოფის საჭიროება იყო. მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებამ გააფორმა ახალი მემორანდუმები, რომლებიც არ იყო ზოგადი ხასიათის და თუ რამე სპეციფიკური დაშვების ნებართვა იქნებოდა საჭირო, აღნიშნული დაწესებულებები წინასწარ თანხმობას გამოხატავდნენ ამასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ახალი ხელშეკრულებები წარუდგინა საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება მხოლოდ ქართულენოვნ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ ქართულენოვნ საგანმანათლებლო პროგრამებს და ამჟამად დაწესებულებას ერიცხებოდა 88 სტუდენტი კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამაზე. აღნიშნული სტუდენტები იყვნენ აზერბაიჯანის მოქალაქეები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე იყვნენ ჩარიცხულნი დაწესებულებაში.

ირინა ხანთაძე დაინტერესდა, აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები რა დონეზე ფლობდნენ ქართულ ენას და რა მეთოდი ჰქონდა დაწესებულებას შემუშავებული სწავლებისას ენის პრობლემის აღმოსაფხვრელად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ქართულ ენაში მოსამზადებელი სასერთიფიკატო კურსი და სტუდენტების უმრავლესობას გავლილი ექნებოდა აღნიშნული კურსი, სანამ მოხდებოდა მათი ჩარიცხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. მისი თქმით, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალიც ქართულენოვანი იყო.



საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რა მეთოდებით ამოწმებდნენს სასერტიფიკატო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტთა ცოდნის დონეს ქართულ ენაში. ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ სასერტიფიკატო კურსის გავლის შემდგომ სტუდენტებს უნდა შეძლებოდათ ქართულ ენაზე აეთვისებინათ ის ლიტერატურა, რაც მითითებული იყო სილაბუსებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტთა ქართული ენის ცოდნის დონე საკმარისი იყო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის.

საბჭოს წევრების განცხადებით, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დასაბუთება არ იყო დამაჯერებელი, რომ მათი სტუდენტების ქართული ენის ცოდნის დონე იქნებოდა საკმარისი საბაკალავრო საფეხურის დასამლევად. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება საბჭოს ვერ უხსნიდა, თუ რა მეთოდებით, ფორმით მოხდებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქართული ენის ცოდნის შემოწმება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ჩაირიცხებოდნენ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე, უნდა ჰქონოდათ ქართული ენის ცოდნის საკმარისი დონე, რათა შეძლებოდათ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მისაღწევა.

ირინა ხანთაძე დაინტერესდა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს, მოხდა თუ არა სტუდენტებთან გასაუბრება. ექსპერტების განცხადებით, მონიტორინგის ვიზიტი დაემთხვა დაწესებულებასი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტები არ იმყოფებოდნენ.

საბჭოს წევრმა, თინათინ ბრეგვაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:10 საათზე.

საბჭოს სხდომა განხლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თვამჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რატომ ვერ მოახერხა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის მინიჭებიდან 1 წლის მანძილზე ექსპერტთა შენიშვნების გათვალისწინება და ხარვეზების გარეშე ფუნქციონირება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ მრავალგზის ჰქონდათ მცდელობა ხარვეზები გამოესწორებინათ, თუმცა შესაბამისი ადამიანური რესურსი არ ჰქონდათ ამისათვის. დაწესებულების დამფუძნებლის თქმით, სხვადასხვა ექსპერტების მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, თითოეულ მათგანს განსხვავებული შეფასება ჰქონდა, რაც გაურკვევლობის მიზეზი ხდებოდა დაწესებულებისათვის. ამასთან, დაწესებულებამ არაერთგზის მიმართა ცენტრს თხოვნით, რომ მათ მიერაც მომხდარიყო საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმება და შესაბამისი მითითებების მიცემა, თუმცა ცენტრის თანამშრომლების ამაზე უარყოფითი პასუხი ჰქონდათ.

განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ ცენტრს არა აქვს უფლებამოსილება წინასწარ მოახდინოს დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვა ან გადამოწმება. ცენტრის კომპეტენციაში შედის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრმა უფლებამოსილების ფარგლებში, შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს არაერთხელ გაეწია კონსულტაცია.

საბჭოს წევრის, თამარ ზაალიშვილის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე სწორედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო პასუხისმგებელი და არა რომელიმე გარეშე პირი. მისი თქმით, თუკი სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი არ იყო მზად ან არ ჰქონდა შესაბამისი კომპეტენცია გამოესწორებინა დაფიქსირებული ხარვეზები, ისინი ვერც



სწავლების სათანადო ხარისხზე იქნებოდნენ პასუხისმგებელნი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ დაადასტურეს საბჭოს სხდომაზე ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში გამართულად მუშაობდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, დაწესებულება სტაგნაციის რეჟიმში ფუნქციონირებდა და არ ხდებოდა განვითარებაზე ორიენტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5


წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის საფუძველზე, შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202205130) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:05 საათზე.

საბჭოს სხდომა განხლდა 19:15 საათზე.



2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ თეა შაყულაშვილმა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა ორი საბაკალვრო პროგრამა: 1. საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია); 2. საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა) და ექვსი პროფესიული პროგრამა. მისი განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ორივე დასკვნა უხარვეზო იყო და დაწესებულება აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს. მან აქვე დასძინა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის მოპოვება აქამდეც სურდა, თუმცა წინა შემთხვევაში ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. ავტორიზაციის ექსპერტთა წინა დასკვნებში ძირითადი ხარვეზები პროფესიულ პროგრამებთან მიმართით ფიქსირდებოდა, თუმცა ამ ეტაპზე ყველაფერი გამოსწორებული სახით იყო წარმოდგენილი.


საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, თუ სად მოხდებოდა საბაკალვრო და პროფესიული პროგრამების კურსდამთვარებულების დასაქმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების უპირატესობას სწორედ ის გარემოება წარმოადგენდა, რომ თავად დაწესებულებას შეეძლო თავისი კურსდამთვარებულები დაესაქმებინა. მისი თქმით, საქართველოს ისტორიაში პირველი დაწესებულება იყო, რომელმაც სასწავლო მიზნებისათვის გემი შეიძინა. მათი კურსდამთვარებულების 90 პროცენტი დასაქმებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრა, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიმატა ფართი სასწავლო მიზნებისათვის და შეძლებდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. ამასთან, 1200 სტუდენტიდან დაწესებულება ითხოვდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 700-ით განსაზღვრულიყო.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, თანაფარდობა უნდა ყოფილიყო პროფესიულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რაოდენობას შორის, კერძოდ ოც პროფესიულ სტუდენტზე უნდა მოდიოდეს ერთი პერსონალი. შესაბამისად, არსებული მონაცემებით, დაწესებულების აკადმიური პერსონალის რაოდენობა არ იყო საკმარისი სტუდენტთა მოთხოვნილ რაოდენობასთან მიმართებით.



დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა საბჭოს თავმჯდომარის განმარტებას.

ლევან მადათოვა გააკეთა განმარტება, რომ სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2010 წლის 27 მაისის №09/ს გადაწყვეტილებით შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუკი, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ - 2015 წლის 27 მაისიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 840-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით, განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403) 2015 წლის 27 მაისიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 840-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 19:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე